ერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — Орган ЦК и ТК КП Грузии и Советов депутатов трудящихся Грузинской ССР

გამოდის 36-ე წელი
№ 67 (10461)

სამშაბათი, 20 მარტი, 1956 წ.

ფასი 20 კაპ.

დ ღ ე ს   ნ ო მ ე რ შ ი ა:

შეიხ მუჰამედ ალ-აშმარს გადაეცა საერთაშორისო სტალინური პრემია „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" (1-ლი გვერდი).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში (1-ლი გვერდი).

ა. კუზნეცოვი. — სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანა (მე-2 გვერდი).

ვ. ჯოქია. — მეტი პროდუქცია ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე (მე-2 გვერდი).

პრესის მიმოხილვა. — საქალაქო გაზეთი და ჩამორჩენილი საწარმოები (მე-3 გვერდი).

გვიყვარდეს ჩვენი ქალაქები და სოფლები, ვიზრუნოთ მათი გამშვენიერებისათვის. — [illegible] ხეები. მოვუწყოთ ყვავილნარები; [illegible]. — [illegible]; [illegible]. — [illegible] (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაცია (მე-4 გვერდი).

საბჭოთა ხალხი — ახალი ცხოვრების შემოქმედი

კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია აღსავსეა ხალხების თავდადებული ბრძოლის [illegible] ბრწყინვალე მაგალითით. მაგრამ არც ერთი ვერ შეედრება საბჭოთა [illegible] გმირობასა და შემოქმედებითს [illegible] ხალხისა, რომელიც მშობლიური კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით წარმატებით აშენებს ახალ ცხოვრებას, ყოველდღიურად [illegible] მსოფლიოში პირველ სოციალისტურ სახელმწიფოს — [illegible], დემოკრატიისა და სოციალიზმის ურყევ ბურჯს.

ჩვენი სამშობლოს ხალხებმა სახელოვანი კომუნისტური პარტიის მეთაურობით გამარჯვებით დააგვირგვინეს [illegible] ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და ამით დასაწყისი მისცეს [illegible] ისტორიულ ერას, სოციალისტურ [illegible]

საბჭოთა ხალხმა, რომელიც თავის [illegible] წინსვლაში გზას იკვლევს მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი მოძღვრებით, უმოკლეს ისტორიულ ვადაში გადააქცია ჩვენი სამშობლო ჩამორჩენილი [illegible] ქვეყნიდან მძლავრ ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სახელმწიფოდ. სწორედ ამიტომ ამ სახელმწიფომ გაუძლო ომის სასტიკ გამოცდას, განადგურა ჰიტლერული გერმანია და იმპერიალისტური იაპონია და ფაშისტური [illegible] იხსნა ევროპისა და [illegible] ხალხები. ომისშემდგომ პერიოდში ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა უმაგალითო შრომითი გმირობა გამოიჩინეს, [illegible] თავიანთი შემოქმედებითი ძალა და ენერგია მოახმარეს სახალხო მეურნეობის აღდგენასა და შემდგომ განვითარებას.

[illegible]

ლებს, რომლებსაც უანგარო დახმარებას უწევენ დიდი რუსი ხალხი, ჩვენი [illegible], თავიანთი წვლილი შეაქვთ კომუნიზმის მშენებლობის საქმეში. დიდი შრომითი აღმავლობაა რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში. [illegible]

პარტიის XX ყრილობამ აღნიშნა, რომ კომუნისტებისა და ყველა მშრომელის აქტივობის გადიდებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს [illegible] მარქსისტულ-ლენინური გაგების ფართოდ განმარტებას. [illegible]

[illegible]

საბჭოთა საქართველოს მშრომელ[illegible]

[illegible] ხალხებს შორის ძმური მეგობრობის შემდგომი განმტკიცება — [illegible] პარტიის XX ყრილობის [illegible] ჩვენი ქვეყნის [illegible] კომუნიზმის გამარჯვების [illegible] და საწინდარია.

ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთა კრებულის „მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შესახებ" გამოცემა ქართულ ენაზე

[illegible]

(საქინფორმი).

შეიხ მუჰამედ ალ-აშმარს გადაეცა საერთაშორისო სტალინური პრემია „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის"

დამასკო, 19 მარტი. (საქინფორმი). 17 მარტს დამასკოს ერთ-ერთ დიდ კინოთეატრ „ფარდუს"-ში გაიმართა საზეიმო ცერემონია, რომლის დროს სირიის გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს, სირიის მშვიდობის მომხრეთა ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარეს შეიხ მუჰამედ ალ-აშმარს გადაეცა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო სტალინური პრემია.

1.500 [illegible] კინოთეატრის დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით. პრემიის გადაცემის ცერემონიას დაესწრნენ სირიის [illegible] სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეები, პარლამენტის [illegible]

[illegible]

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოს საპატიო წოდება „გმირი დედა" და გადაეცეს „გმირი დედის" ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი შვილი.

1. [illegible] ასულ ვარშანიძეს — აჭარის ასსრ ქობულეთის რაიონის [illegible] სახელობის კოლმეურნეობის წევრს.
2. [illegible] ასულ გორგილაძეს — აჭარის ასსრ ქობულეთის რაიონის [illegible] სახელობის კოლმეურნეობის წევრს.
3. [illegible] ასულ ზედგინიძეს — [illegible] რაიონის [illegible] სახელობის კოლმეურნეობის წევრს.
4. [illegible] ასულ [illegible] — [illegible], აფხაზეთის ასსრ გულრიფშის რაიონის სოფელ [illegible].
5. [illegible] ასულ ლომინაძეს — კოლმეურნეს, აჭარის ასსრ ბათუმის რაიონის სოფელ [illegible].
6. [illegible] ასულ მღივანს — კოლმეურნეს, აფხაზეთის ასსრ გულრიფშის რაიონის სოფელ [illegible].
7. [illegible] ასულ მოკროუსოვას — [illegible], აფხაზეთის ასსრ გაგრის რაიონის სოფელ [illegible].
8. [illegible] ასულ პარციკიანს — აფხაზეთის ასსრ ოჩამჩირის რაიონის [illegible] სახელობის კოლმეურნეობის წევრს.
9. [illegible] ასულ ხალვაშიძეს — კოლმეურნეს, მახარაძის რაიონის სოფელ [illegible].
10. [illegible] ასულ ხახიაშვილს — [illegible].
11. [illegible] ასულ შაინიძეს — აჭარის ასსრ ხულოს რაიონის [illegible] სახელობის კოლმეურნეობის წევრს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი

მოსკოვი, კრემლი. 1956 წლის 17 მარტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილა რესპუბლიკის კოლმეურნეობებში [illegible]

[illegible]

[illegible] ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, რაიონული საბჭოების აღმასკომებსა და მტს-ების დირექტორებს განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი საგაზაფხულო თესვის მაღალი ხარისხით შესრულებისათვის საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში.

უახლოეს დღეებში უნდა დაამთავ[illegible] ნისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს დაევალათ სისტემატურად შეამოწმონ საგაზაფხულო თესვის მიმდინარეობა და განახორციელონ სათანადო ღონისძიებანი მტს-ებსა და კოლმეურნეობებში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. (საქინფორმი).

მის აღმატებულებას
ჯ ე ლ ა ლ   ბ ა ი ა რ ს,
თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს

ანკარა

საბჭოთა კავშირ-თურქეთის 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულების ხელის მოწერის 35 წლისთავის გამო, რომელმაც ესოდენ დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა თურქეთისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განვითარებაში, გთხოვთ, თქვენო აღმატებულებავ, მიიღოთ ჩემი გულითადი მილოცვა. გულწრფელად გისურვებთ ბედნიერებასა და ჯანმრთელობას პირადად თქვენ, აგრეთვე აყვავებას თურქ ხალხს.

კ. ვოროშილოვი,
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

მოსკოვი, კრემლი. 1956 წლის 15 მარტი.

მის აღმატებულებას
ბატონ მარშალ კ. ვ ო რ ო შ ი ლ ო ვ ს,
საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს

მოსკოვი

მადლობას გიძღვნით თქვენო აღმატებულებავ წერილისათვის, რომელიც თქვენ კეთილინებეთ და გამომიგზავნეთ ჩვენს ორ ქვეყანას შორის არსებული 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულების წლისთავის გამო. ვუსურვებ ჯანმრთელობას თქვენს აღმატებულებას და აყვავებას საბჭოთა კავშირის ხალხებს.

თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი
ჯელალ ბაიარი.

ანკარა.

სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანა

★

ა. კუზნეცოვი,

ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

★

სკპ XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებში დასახულია სოციალისტური წარმოების ყველა დარგის შემდგომი მძლავრი აღმავლობის, ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებისა და ცხოვრების კულტურული დონის ამაღლების დიდი პროგრამა.

სკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებებით იწყება ახალი ეტაპი ორი სისტემის — სოციალიზმისა და კაპიტალიზმის ეკონომიურ შეჯიბრებაში, მათ კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აჰყავთ საბჭოთა ხალხის ბრძოლა სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანის გადაჭრისათვის. XX ყრილობის რეზოლუციაში სკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო ნათქვამია:

„ყრილობას საჭიროდ მიაჩნია მთელი სიმტკიცით გაგრძელდეს ბრძოლა მშვიდობიანი ეკონომიური შეჯიბრების გზით ისტორიულად უმოკლეს ვადაში საბჭოთა კავშირის იმ მთავარი ეკონომიური ამოცანის გადაჭრისათვის, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობებზე დაყრდნობით, დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ“.

ეს პრობლემა ჩვენი ქვეყნის წინაშე დაისვა ჯერ კიდევ რევოლუციამდე მემამულურ-კაპიტალისტური რუსეთის მთელი საზოგადოებრივ-ეკონომიური წყობილების ღრმა ისტორიულ ჩამორჩენილობასთან დაკავშირებით.

ვ. ი. ლენინმა ჯერ კიდევ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წინ მთელი სიმწვავით დააყენა საკითხი იმის შესახებ, რომ აუცილებელია დავეწიოთ და გავუსწროთ ეკონომიურად ყველაზე უფრო განვითარებულ ქვეყნებს.

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების დაწევისა და გასწრების ამოცანამ თავისი გამოხატულება ჰპოვა მთელ რიგ ლენინურ მითითებებში იმის შესახებ, რომ უნდა განვავითაროთ მძიმე მრეწველობა, რაც ჩვენი ქვეყნის მთელი საწარმოო ძალების აღმავლობისა და ჩვენი სამშობლოს მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ გადაქცევის გადამწყვეტ პირობას წარმოადგენს.

ახორციელებდა რა ლენინურ წინასწარმეტყველებებს, საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გადალახა სსრ კავშირის წინანდელი ტექნიკურ-ეკონომიური ჩამორჩენილობა. მოკლე ისტორიულ ვადაში ჩვენმა ქვეყანამ მოახდინა გრანდიოზული ნახტომი ჩამორჩენილობიდან პროგრესისაკენ, იქცა მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ, რომელსაც აქვს პირველხარისხოვანი ინდუსტრია და მსხვილი მექანიზებული სოფლის მეურნეობა. ჯერ კიდევ ომისწინა წლებში სსრ კავშირმა სამრეწველო პროდუქციის საერთო ოდენობით გადაასწრო ყველა კაპიტალისტურ ქვეყანას, გარდა ამერიკის შეერთებული შტატებისა, დაიკავა მეორე ადგილი მსოფლიოში.

ამ წარმატებებზე დაყრდნობით პარტიის XVIII ყრილობამ 1939 წელს პრაქტიკულად წამოაყენა ამოცანა — დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ეკონომიურად, ესე იგი ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ.

აყენებდა რა ამ ამოცანას ყრილობა ემყარებოდა იმას, რომ ეკონომიურად დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს — ეს ნიშნავს გავუსწროთ მათ არა მარტო პროდუქციის საერთო მოცულობით, არამედ ერთ სულ მოსახლეზე მისი წარმოების ოდენობითაც. ამასთან, ცხადია, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამრეწველო პროდუქციის, უწინარეს ყოვლისა მძიმე მრეწველობის პროდუქციის წარმოებას, მძიმე მრეწველობა, რომელიც მთელი სახალხო მეურნეობის საფუძველია.

სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანის შესრულებისათვის ბრძოლის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ შევქმნათ მოხმარების საგნების სიუხვე და აღვმართოთ კომუნიზმი, იმისათვის, რომ მეურნეობის სოციალისტურმა სისტემამ გაიმარჯვოს კაპიტალისტურ სისტემასთან მშვიდობიან ეკონომიურ შეჯიბრებაში.

ცნობილია, რომ ჰიტლერულ გერმანიასთან ომმა, რომელმაც მოითხოვა ჩვენი ქვეყნის ძირითადი რესურსების გამოყენება საბრძოლო წარმოების საჭიროებისათვის, ფაშისტ აგრესორთა განადგურების საქმისათვის, უდიდესი ზარალი მიაყენა სახალხო მეურნეობას და 10-11 წლით შეაფერხა სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანის გადაჭრა.

ამჟამად შეიქმნა უფრო ხელსაყრელი პირობები სსრ კავშირის მთავარი ეკონომიური ამოცანის გადასაჭრელად, ვიდრე მეორე მსოფლიო ომამდე იყო. საბჭოთა კავშირის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა განმტკიცდა და მნიშვნელოვნად გაიზარდა. 1955 წელს გამოშვებულ იქნა 3,2-ჯერ მეტი სამრეწველო პროდუქცია, ვიდრე 1940 წელს, ხოლო სახალხო მოხმარების საგნების წარმოება ამავე პერიოდში გაიზარდა ორჯერ და კიდევ მეტად.

ომისშემდგომი ოთხი ხუთწლედის წარმატებით განხორციელების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა სოციალიზმის ქვეყნის ეკონომიური ძლიერება, კიდევ უფრო განმტკიცდა მეურნეობის სოციალისტური სისტემა. ჩვენს ქვეყანას ახლა აქვს მძლავრი და ყოველმხრივ განვითარებული სოციალისტური წარმოება, გაცილებით მეტი მატერიალური რესურსები, ვიდრე ოდესმე ჰქონია, ჰყავს მრავალრიცხოვანი კვალიფიციური კადრები.

სულ უფრო მძლავრი ხდება სსრ კავშირის სამრეწველო ბაზა. სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობით საბჭოთა კავშირს მტკიცედ უჭირავს მეორე ადგილი მსოფლიოში. თუჯის, ფოლადის, ალუმინის, სპილენძის, მანქანათმშენებლობის პროდუქციის, ელექტროენერგიის, ცემენტის წარმოების, ქვანახშირის ამოღების მხრივ საბჭოთა კავშირმა დიდიხანია გაუსწრო საფრანგეთს, დასავლეთ გერმანიას, ინგლისს და მტკიცე ნაბიჯებით მიჰყვება ამერიკის შეერთებულ შტატებს.

ომისშემდგომ წლებში სსრ კავშირი მნიშვნელოვნად დაწინაურდა ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების საქმეში. მეხუთე ხუთწლედის წლებში თუჯის გამოდნობა ერთ სულ მოსახლეზე გადიდდა 60 პროცენტით, ფოლადისა — 52 პროცენტით, ქვანახშირის მოპოვება — 37 პროცენტით, ნავთობისა — 72 პროცენტით, ელექტროენერგიის გამომუშავება — 71 პროცენტით, ბამბეულის ქსოვილების წარმოება — 40 პროცენტით, მატყლის ქსოვილებისა — 48 პროცენტით, შაქრისა — 24 პროცენტით.

მეორე მხრივ, ამჟამად ძირეულად შეიცვალა საერთაშორისო პირობები, რომლებშიც ხდება საბჭოთა ხალხის ბრძოლა სსრ კავშირის მთავარი ეკონომიური ამოცანის გადასაჭრელად. ომამდელი დროისაგან განსხვავებით ამ ამოცანას საბჭოთა კავშირი წყვეტს, როდესაც უკვე მარტო ერთი სოციალისტური ქვეყანა როდი უპირისპირდება კაპიტალისტურ სამყაროს, არამედ წარმოებს ორი მსოფლიო სისტემის — სოციალისტური და კაპიტალისტური სისტემების — მსოფლიო ეკონომიური შეჯიბრება.

მეექვსე ხუთწლედის განხორციელება ახალი წინ გადადგმული დიდი ნაბიჯი იქნება ამ ამოცანის გადაჭრაში და ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების დონის მიხედვით მნიშვნელოვნად დაუახლოვებს საბჭოთა კავშირს ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს. ამას უპირველეს ყოვლისა მოწმობს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის, განსაკუთრებით მძიმე ინდუსტრიის განვითარების მაღალი ტემპები, რომლებიც გათვალისწინებულია XX ყრილობის დირექტივებში მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ. 1956-1960 წლების განმავლობაში საერთოდ სამრეწველო პროდუქცია გაიზრდება დაახლოებით 65 პროცენტით, ამასთან წარმოების საშუალებათა წარმოება გადიდდება 70 პროცენტით, ხოლო მოხმარების საგნების წარმოება — 60 პროცენტით. 1960 წელს — მეექვსე ხუთწლედის უკანასკნელ წელს — ჩვენში სამრეწველო პროდუქცია გამოშვებულ იქნება სამჯერ მეტი, ვიდრე 1950 წელს და 5,3-ჯერ მეტი, ვიდრე ომამდელ 1940 წელს.

ჩვენი ქვეყნის მძიმე მრეწველობა ავა ახალ, მნიშვნელოვნად უფრო მაღალ საფეხურზე. 1960 წელს გამომუშავებულ იქნება დაახლოებით 53 მილიონი ტონა თუჯი, ანუ 3,6-ჯერ მეტი, ვიდრე 1940 წელს; 68 მილიონ 300 ათასი ტონა ფოლადი, ანუ 3,7-ჯერ მეტი, ვიდრე 1940 წელს. ქვანახშირის ამოღება ერთნახევარჯერ გადააჭარბებს 1955 წლის დონეს და მიაღწევს 593 მილიონ ტონამდე წელიწადში. ნავთობის მოპოვება ხუთწლედის მანძილზე თითქმის გაორკეცდება და 1960 წელს მიაღწევს 135 მილიონ ტონას. მანქანათმშენებლობის და ლითონდამამუშავებლობის პროდუქცია გაიზრდება დაახლოებით 80 პროცენტით.

მნიშვნელოვნად გაფართოვდება სახალხო მეურნეობის ენერგეტიკული ბაზა. ახლაც კი საბჭოთა კავშირი დაახლოებით იმდენსავე ელექტროენერგიას აწარმოებს, რამდენსაც მრეწველობის მხრივ ყველაზე განვითარებული ევროპის ორი კაპიტალისტური სახელმწიფო — დიდი ბრიტანეთი და დასავლეთი გერმანია, ერთად აღებული. მიმდინარე ხუთწლედში ელექტროენერგიის წარმოება გაიზრდება 150 მილიარდ კილოვატ-საათით, ესე იგი თითქმის გაორკეცდება.

მეექვსე ხუთწლიანი გეგმის განხორციელების შედეგად საბჭოთა კავშირში 1960 წელს წარმოებული იქნება უფრო მეტი თუჯი, ელექტროენერგია, ცემენტი, საწვავი, ვიდრე მათ ახლა აწარმოებენ ინგლისი, საფრანგეთი, დასავლეთი გერმანია ერთად. სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობით სსრ კავშირი მნიშვნელოვნად დაუახლოვდება ამერიკის შეერთებულ შტატებს.

სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანის გადაჭრა ნიშნავს სახალხო მოხმარების ყველა საქონლის სიუხვის მიღწევასაც. ამ მხრივაც მეექვსე ხუთწლედი დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება. საზოგადოებრივი წარმოების დონე სსრ კავშირში ახლა იმდენად მაღალია, რომ საშუალებას გვაძლევს სწრაფი ტემპებით განვავითაროთ არა მარტო წარმოების საშუალებათა წარმოება, რომელიც მთელი სახალხო მეურნეობის ტექნიკური საფუძველი იყო და არის, არამედ სახალხო მოხმარების საგნების წარმოებაც.

მეექვსე ხუთწლედის დამლევისათვის სახალხო მოხმარების საქონლის მასა თითქმის 3,5-ჯერ გადიდდება 1940 წელთან შედარებით. უფრო მაღალ საფეხურზე ავა ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მთელი სისტემა. მძიმე მრეწველობის მძლავრი განვითარების საფუძველზე უზრუნველყოფილ იქნება მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობა. გათვალისწინებულია 1960 წელს მარცვლეულის საერთო მოსავალი აყვანილ იქნას 11 მილიარდ ფუთამდე და გაორკეცდეს მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების წარმოება.

* * *

სამეურნეო მშენებლობის დიდი პროგრამა, რომელიც პარტიის XX ყრილობამ დასახა, მიზნად ისახავს კომუნიზმისაკენ ჩვენი ქვეყნის წინსვლის დაჩქარებას, მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობათა მაქსიმალურად გამოყენებას საზოგადოებრივი დოვლათის გასამრავლებლად და სსრ კავშირის ეკონომიური ძლიერების განსამტკიცებლად.

მეურნეობის სოციალისტური სისტემა შეუდარებლად უფრო სწრაფად ვითარდება, ვიდრე კაპიტალისტური სისტემა. ეს კაპიტალიზმთან ეკონომიურ შეჯიბრებაში სოციალიზმის გამარჯვების მთავარი საწინდარია.

მეურნეობის გეგმიანი გაძღოლა, რომელიც წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივ საკუთრებას ეყრდნობა და რომელმაც არ იცის კრიზისული დაქვეითება, უზრუნველყოფს სსრ კავშირისათვის სამრეწველო განვითარების ისეთ ტემპებს, რომლებიც ბევრად აღემატება კაპიტალისტური მეურნეობის განვითარების ტემპებს. უკანასკნელი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში, ომის წლების გამოკლებით, სსრ კავშირის სამრეწველო პროდუქციის ზრდის საშუალო წლიური ტემპმა შეადგინა 18 პროცენტი, ამავე დროს ამერიკის შეერთებულ შტატებში მან შეადგინა მხოლოდ 2,8 პროცენტი, ინგლისში — 3,5 პროცენტი, საფრანგეთში — 2,5 პროცენტი.

რა არის საჭირო იმისათვის, რომ უმოკლეს ისტორიულ ვადაში გადავწყვიტოთ სსრ კავშირის მთავარი ეკონომიური ამოცანა?

ამისათვის საჭიროა უწინარეს ყოვლისა უზრუნველვყოთ მთელი საზოგადოებრივი წარმოების განუწყვეტელი აღმავლობა წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი ზრდით, უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე წარმოების განუხრელი გაფართოება და სრულყოფა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებში მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ აღნიშნულია, რომ მისი მთავარი ამოცანებია: მძიმე მრეწველობის უპირატესი განვითარების, განუწყვეტელი ტექნიკური პროგრესის და შრომის ნაყოფიერების ამაღლების საფუძველზე უზრუნველყოფილ იქნას სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი მძლავრი ზრდა, განხორციელდეს სოფლის-სამეურნეო წარმოების მკვეთრი აღმავლობა და ამ საფუძველზე მიღწეულ იქნას საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამაღლება.

სოციალისტური წარმოების შემდგომი მნიშვნელოვანი გაფართოება მოითხოვს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში და უწინარეს ყოვლისა მძიმე ინდუსტრიაში საწარმოო სიმძლავრეთა სწრაფად გადიდებას. ეს კი გულისხმობს კაპიტალური მშენებლობის განუწყვეტელ ზრდას, ასობით და ათასობით ახალი პირველხარისხოვანი სოციალისტური საწარმოების აგებას, აგრეთვე მოქმედი ქარხნებისა და ფაბრიკების ტექნიკურ რეკონსტრუქციას, მოძველებული მოწყობილობის მოდერნიზაციას.

ამის შესაბამისად მეექვსე ხუთწლედში დასახულია სამშენებლო სამუშაოთა გრანდიოზული პროგრამა. 1956-1960 წლებისათვის სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა განსაზღვრულია 990 მილიარდი მანეთის ოდენობით (1955 წლის 1 ივლისის ფასებში), ანუ 67 პროცენტით მეტი, ვიდრე მეხუთე ხუთწლედში.

სამრეწველო წარმოების მოცულობის შემდგომი გადიდება განუწყვეტლივ დაკავშირებულია ნედლეულის, სათბობის, ელექტროენერგიის ახალი წყაროების ათვისებასთან და უწინარეს ყოვლისა ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონების აურაცხელი ბუნებრივი სიმდიდრეების მობილიზაციასთან. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ ამოცანად დაისახა უახლოესი 10-15 წლის განმავლობაში სსრ კავშირის აღმოსავლეთ რაიონებში შევქმნათ ქვანახშირის ამოღებისა და ელექტროენერგიის წარმოების უდიდესი ბაზა, მესამე მძლავრი მეტალურგიული ბაზა, რომელმაც წელიწადში უნდა მოგვცეს 15-20 მილიონი ტონა თუჯი, აგრეთვე შევქმნათ ახალი მანქანათმშენებელი ცენტრები.

ამის მიღწევა, რომ ეკონომიურად დავეწიოთ და გავუსწროთ მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს, შეიძლება მხოლოდ განუწყვეტელი ტექნიკური პროგრესის გზით, იმ პირობით, თუ სახალხო მეურნეობის ყველა დარგი აღიჭურვება სულ უფრო სრულყოფილი მანქანებითა და მექანიზმებით. განუწყვეტელი ტექნიკური პროგრესი მთელ სამრეწველო წარმოების შემდგომი ზრდის გადამწყვეტი პირობაა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებში მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ მკვეთრად არის გამოხატული პარტიის კურსი უმაღლეს ტექნიკაზე. ახალ ხუთწლედში გათვალისწინებულია ფართო ღონისძიებანი იმისათვის, რომ ავამაღლოთ წარმოების ტექნიკური დონე ელექტრიფიკაციის, კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის შემდგომი განვითარების, მაღალმწარმოებლური უახლესი მოწყობილობის დანერგვის, სამამულო და საზღვარგარეთის მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების ფართოდ გამოყენების საფუძველზე.

სსრ კავშირის მთავარი ეკონომიური ამოცანის უმოკლეს ვადაში გადაჭრისათვის ბრძოლა ნიშნავს იმას, რომ განუხრელად ვამაღლებდეთ შრომის ნაყოფიერებას. დიდი ლენინი გვასწავლიდა, რომ შრომის ნაყოფიერების ამაღლება ყველაზე მთავარია კაპიტალიზმზე სოციალიზმის გამარჯვებისათვის. „კაპიტალიზმი, — წერდა ვ. ი. ლენინი, — შეიძლება საბოლოოდ დამარცხდეს და კიდევაც დამარცხდება საბოლოოდ იმით, რომ სოციალიზმი ქმნის შრომის ახალ, გაცილებით უფრო მაღალ ნაყოფიერებას“ (თხზ., ტ. 29, გვ. 499). ამრიგად, შრომის უმაღლესი ნაყოფიერების მიღწევა ძირითადია კაპიტალიზმთან სოციალიზმის მშვიდობიან ეკონომიურ შეჯიბრებაში.

მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების დონით სსრ კავშირი უკვე დაეწია დასავლეთ ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებს, მაგრამ ჯერ კიდევ ჩამორჩება ამერიკის შეერთებულ შტატებს.

მეექვსე ხუთწლედში გათვალისწინებულია შრომის ნაყოფიერების გადიდება მრეწველობაში სულ მცირე 50 პროცენტით, მშენებლობაში — 52 პროცენტით, საბჭოთა მეურნეობებსა და სახელმწიფო დამხმარე სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში — დაახლოებით 70 პროცენტით, ხოლო კოლმეურნეობებში — დაახლოებით ორჯერ.

მხოლოდ შრომის ნაყოფიერების ახალ სერიოზულ აღმავლობას შეუძლია უზრუნველყოს წარმოების ზრდისა და ხალხის კეთილდღეობის შემდგომი ამაღლების დარგში დასახული ამოცანების შესრულება. მხოლოდ საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების გადამწყვეტი ზრდით გადაიჭრება სსრ კავშირის მთავარი ეკონომიური ამოცანა.

ამასთან მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების შემდგომი ამაღლების მიღწევა შეიძლება არა მარტო შრომის ტექნიკური აღჭურვილობის ზრდით, არამედ წარმოების არსებული სიმძლავრეების, საწარმოო მოედნებისა და მოწყობილობის უკეთ, უფრო რაციონალურად გამოყენებით, წარმოების უკეთესი ორგანიზაციით, შრომის დისციპლინის ამაღლებით, სამუშაო დღის უკეთ გამოყენებით, მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ გავრცელებით. ამასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა აქვს შრომის ნორმირების გაუმჯობესებას და ხელფასის მოწესრიგებას.

სსრ კავშირის მთავარი ეკონომიური ამოცანის გადაჭრაში სერიოზულ როლს ასრულებს სპეციალისტების, ჩვენი ინდუსტრიის მოწინავე მშენებლების, ტექნიკური პროგრესის ორგანიზატორების ახალი კვალიფიციური კადრების მომზადება. უკვე ახლა საბჭოთა კავშირში მუშაობს უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე ხუთ მილიონ ნახევარზე მეტი სპეციალისტი. მეექვსე ხუთწლედში გათვალისწინებულია უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე სპეციალისტების გამოშვება გადიდდეს დაახლოებით ერთნახევარჯერ, ხოლო მძიმე მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის დარგებისათვის დაახლოებით ორჯერ მეხუთე ხუთწლედთან შედარებით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივები მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ გვიჩვენებენ, რომ ჩვენი ქვეყანა სწრაფი ტემპებით მიდის წინ სსრ კავშირის მთავარი ეკონომიური ამოცანის გადაჭრის გზით. ბურჟუაზიული პრესაც იძულებულია აღიაროს ეს. დიდიხანია წავიდა ის დრო, როცა იგი დასცინოდა საბჭოთა ხუთწლედებს, განუხორციელებლად აცხადებდა მათ. ახლა ბურჟუაზიული ეკონომისტები და პუბლიცისტები დაუფარავი შეშფოთებით წერენ, რომ სსრ კავშირის ახალი ხუთწლიანი გეგმა „დასავლეთის სამყაროს სერიოზული ეკონომიური გამოწვევაა“. ინგლისის მონოპოლიების ჟურნალი „ეკონომისტი“ აღიარებს: „რუსეთში მოხდა არა მარტო ის, რომ ჩამორჩენილი ქვეყნიდან იგი ევროპის სამრეწველო გიგანტად გადაიქცა, არამედ ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ, თუ როგორ თანდათან დაეწევა იგი დასავლეთის ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების დონის მიხედვით. დასავლეთს უპირისპირდება განუწყვეტლივ მზარდი საბჭოთა ეკონომიკა“.

საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით პატრიოტული აღფრთოვანებით აჩაღებს ბრძოლას მეექვსე ხუთწლედის დიდი დავალებათა განხორციელებისათვის, მეექვსე ხუთწლედისა, რომელიც მნიშვნელოვანი ეტაპია სსრ კავშირის მთავარი ეკონომიური ამოცანის გადაჭრაში, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებაში.

გუდაუთის რაიონის სოფელ [illegible] კოლმეურნეობის [illegible] ფერმა.
ფოტო ა. [illegible]

მეტი პროდუქცია ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე

სკპ XX ყრილობაზე ნ. ს. ხრუშჩოვისა და ნ. ა. ბულგანინის მოხსენებებში დასახულია [illegible] სოფლის მეურნეობის ახალი აღმავლობის საბრძოლო პროგრამა. მეექვსე ხუთწლედში დიდი პერსპექტივები გადაეშალა საბჭოთა მეურნეობების წინაშე. მთავარი ამოცანაა გავადიდოთ პროდუქციის წარმოება და შევამციროთ პროდუქციის თვითღირებულება.

პარტიის XX ყრილობის დირექტივებში ნათქვამია: სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდის, მიწის და წარმოების ყველა საშუალების რაციონალური გამოყენების, სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საფუძველზე უზრუნველყოფილ იქნას თითოეული საბჭოთა მეურნეობის მაღალრენტაბელიანი მუშაობა.

ამ ამოცანების შესრულებისათვის დაირაზმა ახალი ათონის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი. მოწინავეთა გამოცდილების დანერგვით მეურნეობა რენტაბელური გახდა. წარმატებით დაიძლია გასული სამეურნეო წელი. სახელმწიფოსათვის მანდარინის ნაყოფის ჩაბარების დავალება 142 პროცენტით შესრულდა, საშუალოდ ერთ ხეზე მოყვანილია 1.000 ცალი მანდარინის ნაყოფი. დიდი გადაჭარბებით შესრულდა ლიმონის მოსავლის გეგმა, მიღწეულია თვითღირებულების შემცირება და ეკონომია. ამის შედეგად გეგმის გადაჭარბებით დაგროვდა შემოსავალი 200 ათასი მანეთი.

გასულ წელს მეურნეობამ შრომის ნაყოფიერება 11 პროცენტით გაადიდა. [illegible] სამუშაოთა დიდი რაციონალიზაციით, მექანიზაციის დანერგვით, განსაკუთრებით ნარგავების მექანიზებულად წამლობით. ეს წარმატებანი უფრო მეტი იქნებოდა, ისეთი მანქანები რომ გვქონოდა, რომლებიც სხვა სახის სამუშაოებზეც გამოდგება [illegible] პირობებში. მეურნეობის კოლექტივმა წელს ამოცანად დაისახა შემდგომ შეამციროს პროდუქციის თვითღირებულება, მიაღწიოს სათბობისა და მასალების ეკონომიას, მაქსიმალურად გამოიყენოს მიწის სავარგულები.

1955 წელს მიღწეულია პროდუქციის თვითღირებულების მნიშვნელოვანი შემცირება. თითოეული კილოგრამი მანდარინის ნაყოფის თვითღირებულება შეადგენდა 1 მანეთსა და 78 კაპიკს, ფორთოხლისა — 2 მანეთსა და 56 კაპიკს, ხოლო ერთი ცალი ლიმონის თვითღირებულება — 1 მანეთსა და 06 კაპიკს. შარშან თითოეულმა მუშამ სახელმწიფოს მისცა 10.000 მანეთის პროდუქცია. მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ ჯერ კიდევ ცოტას ვიღებთ მოსავლის რაოდენობრივად ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულზე და ფულადი შემოსავალიც შედარებით მცირეა. მაგრამ ყველა პირობა გვაქვს, რომ უახლოეს წლებში სახელმწიფოს მივცეთ დიდი შემოსავალი.

მეურნეობის კოლექტივი ბეჯითად სწავლობს პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს. მუშათა კრებებსა და საწარმოო თათბირებზე [illegible]

[illegible] მეურნეობის მეთაური ა. [illegible] [illegible] 1.200 ცალი მანდარინის ნაყოფი [illegible] — 2.500 [illegible]. 1960 წლისათვის [illegible] 20-25 მილიონი ცალი ციტრუსების ნაყოფი [illegible] სოციალისტური შეჯიბრება.

მაგრამ, უნდა აღინიშნოს ის, რომ [illegible] სოციალისტური შეჯიბრებით [illegible] ჯერ კიდევ [illegible].

როგორც ცნობილია, საბჭოთა მეურნეობები პროდუქციის [illegible] ციტრუსების ნაყოფის [illegible] პროდუქციის ხარისხს. [illegible]

პარტია გვასწავლის, რომ [illegible] მეექვსე ხუთწლედში [illegible] წინაშე დასახული [illegible] ქვეყანას ციტრუსების [illegible] ნაყოფი.

ვ. ჯიქია

გუდაუთის რაიონის ახალი ათონის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი.

ჩვენი მტკიცე გადაწყვეტილება

ჩვენი კოლმეურნეობის წევრები დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, რომელთა შორის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა 1960 წელს მარცვლეულის საერთო მოსავლის 11 მილიარდ ფუთამდე აყვანა. გადავსინჯეთ რა ჩვენი შესაძლებლობანი, გადავწყვიტეთ წელს 40 ჰექტრით გავადიდოთ სიმინდის ნათესი ფართობი, 300 ჰექტარზე დავთესოთ ეს ძვირფასი კულტურა. ამასთან საშუალოდ ჰექტარზე უზრუნველვყოთ 30 ცენტნერი მოსავლის მიღება ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 20 ცენტნერისა.

ჩვენს კოლმეურნეებს სიმინდის მაღალი მოსავლის მიღების კარგი გამოცდილება აქვთ. მაგალითად, გასულ წელს 260 ჰექტარი ფართობის თითოეულ ჰექტარზე მივიღეთ 24 ცენტნერი მოსავალი, გეგმა კი 19 ცენტნერს ითვალისწინებდა. ცალკეულმა მოწინავე კოლმეურნეებმა ჰექტარზე 60 ცენტნერი მიიღეს.

სიმინდის მოსავლიანობის შემდგომი ამაღლების მიზნით წარმოებაში ფართოდ დავნერგავთ კვადრატულ-ბუდობრივ თესვას, 200 ჰექტარ ფართობზე მოვაწყობთ ხელოვნურ დამტვერვას, რაც ჩვენს პირობებში ჰექტარზე 2-3 ცენტნერით ზრდის მოსავალს.

მეექვსე ხუთწლედის დიდი პროგრამით აღფრთოვანებული ჩვენი კოლმეურნეობის წევრები მტკიცედ [illegible] საბჭოთა სამშობლოს ძლიერების განმტკიცებისათვის [illegible].

ახლა გავაჩაღეთ საგაზაფხულო თესვისათვის მზადება. [illegible]

ა. [illegible]

[illegible] რაიონის სოფელ [illegible] კოლმეურნეობის თავმჯდომარე.